საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო.

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 250,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. მოწინავე
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 593 ოთხშაბათი, ოქტომბრის 10 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250,000

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი და საქ. პროფკავშირთა საბჭო ამით აცხადებს, რომ საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის საფუძვლის ჩამყრელი და ძველი მებრძოლი-რევოლიუციონერის

## ამხ. ბორის ძნელაძის

დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისის ყველა სახელმწიფო, კერძო და საზოგადო და სხვ. წარმოება-დაწესებულებების მუშა-ახალგაზრდობა თავისუფლდება ხუთშაბათს 11 ოქტომბერს დღის 2 საათიდან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი: ლ. დუმბაძე.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი: მარკაროვი.

## ორი გზა

საერთაშორისო მაშსტაბით გაშლილი ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის უამრავ ისტორიულ გაკვეთილებს იძლევა. ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია სოციალ კლასთა დაპირისპირებასა და შეტაკებაში არისტოტელეს „ოქროს საშუალოს“ პრინციპის დაცვა, ნეიტრალი პუნქტების მონიშნეობა, „არც აქეთ, არც იქეთის“ პოლიტიკის წარმოება. ასეთ თვალსაზრისს ფართოდ ქონდა ფესვები გადგმული ოპორტიუნისტური რანგის სოციალისტური მიმართულებებში.

მაგრამ ერთობ საწინააღმდეგო დასკვნები მოგვცა უკანასკნელ წლების პრაქტიკამ. შეუძლებელი შეიქნა ეშმაკისა და ანგელოზას თანაბარი სამსახური. ცენტრალისტურ მიმდინარეობის მოქმედების სასწორი ერთ გარკვეულ მოწინააღმდეგე მხარესაკენ გადაიხარა. ხორციც დაიწვა და შამფურიც. ამის მაგალითია ორ-ნახევარი ინტერნაციონალის ისტორია.

ჰილფერდინგმა ვერ შესძლო საშუალო ხაზის ბოლომდე გაყვანა, ნეიტრალური ზონის ხელშეუხლებლად შენარჩუნება.

ჰამბურგის კონგრესმა სულთათანა უგალობა „რევოლიუციასა და იმპერიალიზმს“ შორის მოხეტიალე საერთაშორისო სოციალისტურ ორგანიზაციას. კაუცკის ინტერნაციონალში გაითქვიფა, გაისრისა ჰილფერდინგის ინტერნაციონალი. ეს ისტორიული მაგალითი ურწმუნო თომებსაც კი დააჯერებს ორ ბანაკ შორის გულზე ხელდაკრეფილად ატუზების შეუძლებლობაში.

მსოფლიო მაშსტაბით მეტად მნიშვნელოვანი ამბეჰი ხდება.

გაერთიანდა ბურჟუაზიული ფრონტი, ერთიანდება მუშათა მებრძოლი რაზმებიც. საერთაშორისო ფაშიზმი შემჭიდროება კაპიტალისტურ ძალების, კომინტერნი ორგანიზაციაა პროლეტარულ მთლიან ფრონტის.

ბურჟუაზიული პოლიტმიმდინარეობანი კავშირდებიან, ერთ კალაპოტში იყრიან თავს. ასეთსავე სურათს აქვს ადგილი რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში: მუშათა მებრძოლი ნაწილები ირაზმებიან კომუნისტურ პარტიის დროშის ქვეშ. ყოველივე ეს იმდენად მარტივი და ყველასათვის თვალსაჩინო ამბავია, რომ მასზე დაწვრილებით შეჩერება არაა საჭირო.

რა პოზიციას იჭერს გადამწყვეტ ბრძოლაში მენშევიზმი? როგორც ვიცით, იგი სცდილობდა არც ბატონი გაებრაზებია და არც ყმა სამტროდ გადაექიდებია. სიტყვით შრომის ინტერესების დაცვა, საქმით—კაპიტალის სამსახური—აი რა ახასიათებდა და ახასიათებს დღესაც საერთაშორისო სოც.-დემოკრატიას. იგი მოკლებულია რევოლიუციონურ გამბედაობას, მხდალია სულით, გულით, არსებით. ძერძოთ გერმანიის მაგალითის მოგონება, გერმანიაში შექმნილ თანამედროვე პირობების გათვალისწინება იძლევა ამის ილიუსტრაციას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ებერტი, ჭეშმარიტი მენშევიკი, მუდამ იმის ცდაშია, თუ როგორ მოახერხოს მგლისა და ცხვრების დაძმობილება. ახალ მთავრობის შემადგენლობაში 3 მენშევიკი შედის.

სოც.-დემოკრატია შეხმატკბილდა ბურჟუაზიასთან. მეორე ინტერნაციონალი კაპიტალის სალამურზე ათამაშდა. ამის შედეგი ცნობილია საყოველთაოდ: კაპიტალის შემოტევა ძლიერდება, დროშემული ბურჟუაზიული წყობილებას ახალი ენერგია ემატება, საერთაშორისო მუშათა ფრონტი სუსტდება.

რეფორმისტულმა სოციალისტურმა პარტიებმა აილო ყალბი გზა, ბრძოლის უვარგისი იარაღი. თეორიულად წვადისა და შამფურის პოლიტიკას იცავდნენ, პრაქტიკულად—ბურჟუაზიულ ბანაკში თავშესაფრობენ.

შემდგარი იყო აზრი ორივე ბანაკის ინტერესების შეზავება—შეერთების შესახებ. პრაქტიკულ შემოქმედებაში გამოაშკარავდა ყალბი შეხედულების ნამდვილი ფიზიონომია.

გერმანიაში კომუნისტური რევოლიუციის საქმე ჯერ-ჯერობით შეფერხდა. მუშათა კლასმა ვერ შესძლო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ამაში ისტორიული, გამოუსყიდველი დანაშაული მიუძღვის გერმანიის ს.-დემოკრატიას, რადგან მან ვერ აუღო ალღო მარქსის რევოლიუციონურ მოძრაობას და არ აუფრიალა პროლეტარული გამარჯვების წითელი დროშა.

კომუნიზმის სიძულვილმა გერმანიის მენშევიკური პარტია მიიყვანა რევოლიუციის უარყოფამდე რეაქციის კარამდე.

რას გეუბნება თანამედროვე ევროპის ცხოვრებიდან ამოღებული ფაქტები? უსათუოდ შემდეგს: ის, ვინც არ არის რევოლიუციონურ მოძრაობასთან უეჭველად რეაქციის ბანაკშია. საშუალო ხაზები არ არსებობს, ან კაპიტალიზმი, ან კომუნიზმი, ან მეორე ინტერნაციონალი და ერთა ლიგა, ან კომინტერნი. ვინც შუა გზაზე გაჩერდება მებრძოლთა ყუმბარებით დაიფლეთება.

შემჭიდროება პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა რიგების—აი მსოფლიო მუშათა კლასის ამოცანა: პრაქტიკული მიზანი.

საერთაშორისო ვითარებაში მოხაზულია ორი გზა: ერთი მიემართება სოციალიზმისაკენ, მეორე —იმპერიალიზმისაკენ. მესამე გზის ძიება უნიადაგო ოცნებაა.

---

## რადიო-დეპეშები

### „ზაკროსტას“ ცნობები 9 ოქტომბრიდან.

### გერმანიის ამბები.

გერმანიის კრიზისთან დაკავშირებით, ლონდონის ბირჟაზედ ევროპის ვალიუტა ეცემა. ინგლისის პოზიცია ისევ გამოურკვეველი რჩება, თუმცა, როგორც ეტყობა, იგი საიდუმლოდ შეუთანხმდა საფრანგეთს ხელი შეუწყოს გერმანიის კაპიტულიაციას.

მე-2 ინტერნაციონალის ალმასკომმა და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ, მოისმინეს რა საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციათა მოხსენება, გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც ჰკიცხავენ საფრანგეთისა და ბელგიის პოლიტიკას რურში. რეზოლიუცია ოკუპაციას სახავს დიდი ძალადობის აქტად, რომელმაც გამოიწვია ქაოსი გერმანიაში და იწვევს კრიზისს ევროპაში. რეზოლიუცია მოითხოვს დაუყონებლივ მოლაპარაკების დაწყებას გერმანიასა და მოკავშირეებს შორის.

ბავარიის დიქტატორმა კარმა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია ძლიერი გერმანიის შექმნისაკენ, რომელიც შესძლებს დაამტკიცოს, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა მსოფლიო ომის დამწყები. კარს სურს გერმანია იყოს იმდენად ძლიერი, რომ შესძლოს „მოიგერიოს მტაცებელთა თავდასხმა.“ სიტყვაში „მტაცებელი“ კარი, ალბად გულისხმობდა ფრანგებს. თავისი მიზნის მისაღწევად —ძლიერი გერმანიის შესაქმნელად—იგი მზად არის ყოველი საშუალებით ებრძოლოს სოციალისტებს, რომლებთანაც არ შეიძლება არც თანამშრომლობა და არც კომპრომისი. მონარქის აღდგენის საკითხი ჯერ-ჯერობით უნდა გადაიდოს ამავე აზრისა არის რუპრეხტიც. კარს იმედი აქვს გერმანია მოაწყოს ძველი, ბისმარკის წესით. ამ განცხადების დროს დაესწრნენ უცხოეთისა და გერმანიის პრესის წარმომადგენლები, მათ შორის სოციალისტური და დემოკრატიული პრესის წარმომადგენლებიც. ჟურნალისტებს კარმა ჩამოართვა პირობა, რომ ისინი მის სიტყვებს სისწორით გადასცემენ პრესაში.

პარიზის ცნობით, გერმანიის რეიხსბანკის ოქროს მარაგი უდრის 469 მილიონ მარკას. ქაღალდის ფული ტრიალში არის 8.267 ტრილიონი მარკა.

გერმანიაში სოც.-დემოკრატები თხოულობენ მე-4 ადგილს კაბინეთში და დაჟინებით მოითხოვენ

## დღიური

— მე-2 ინტერნაციონალის ალმასკომი და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურო მოითხოვენ გერმანიისა და მოკავშირეების მოლაპარაკების დაწყებას.

— კარას მიზანია—შექმნას ძლიერი გერმანია.

— აჯანყება ჩრდილოეთ პორტუგალიაში

— იტალიეთი და სამხრეთ-სლავია იყოფენ ყოფილ ავსტრო-ჰუნგრეთის სავაჭრო ფლოტს.

— საქსონიის მთავრობაში კომუნისტები მიიღებენ შრომისა და განათლების პორთფელებს.

— ბავარიაში კარა სასტიკ ზომებს იღებს კომუნისტური მოძრაობის ჩასაკლავად

— პუანკარე არ ფიქრობს არავითარ დათმობას.

— ბოლგარეთში მთავრობის ტერორი მეტად ფართოვდება

იაპონიაში მთავრობას კანონპროექტი შეაქვს საყოველთაო არჩევნების უფლების შესახებ

— სამხრეთ-სლავიას მიეცა თავისუფალი ზონა სალონიკში.

რეიხსტაგის სხდომაზედ მიღებულ იქნა „მტკიცე მთავრობის“ კანონი

---

ალმშენებელთა პროფკავშირის თავმჯდომარის ზილ-შერშმიდტის შრომის მინისტრად დანიშვნას.

საფრანგეთი ზომებს იღებს, რათა ხელი შეუშალოს გერმანიის ქაოსს ოკუპაცია ქმნილ ოლქებში გავრცელებას.

საქსონიის მთავრობაში კომუნისტების შესვლა საბოლოოდ გადასწყდა.

სამშაბათს ლანდტაგს წარუდგნენ ახალ კაბინეტს. ფიქრობენ, რომ კომუნისტებს მიეცემათ განათლებისა და შრომის პორთფელები. შინაგან საქმეთა სამინისტრო დარჩებათ სოც.-დემ.

გესლერმა უარჰყო საქსონიის შუამდგომლობა სამოქალაქო კომისრის დანიშვნის შესახე. ცეიგნერი საქსონიის ლანდტაგში გამოვა ახალი ცნობების გამომჟღავნებით რეიხსვერსა და ფაშისტებს შორის არსებულ კავშირის შესახებ.

ვიდრე დემოკრატებსა და ცენტრის მოლაპარაკება ქონდათ სოციალისტებთან კოალიციის აღდგენაზედ, სტინესის მეთაურობით ნაციონალისტები ამზადებდნენ სტინესის კაბინეტს. უკანასკნელ წამებში ნაციონალისტებმა უარი სთქვეს სტინესის კანდიდატურაზედ, რამაც გაუადვილა საქმე შტრეზემანს. უკანასკნელ დღეებში მემარჯვენე პარტიებს შორის განახლდა მოლაპარაკება. როგორც კი ნაპოვნი იქნება კომპრომისი, შესაძლებელია გაჩნდეს მემარჯვენე პარტიების გამოსვლის საშიშროება.

გესლერმა აღკრძალა 7 დღით დემოკრატიული გაზეთი „ბერლინერ ფონკსცეიტუნგში“ კიუსტრინის ამბების გამოქვეყნებისათვის. სამხედრო მართებლობის მოქმედება საერთო აღშფოთებას იწვევს მთელს ბერლინის პრესაში.

კარმა სასტიკად აღკრძალა კომუნისტური გაზეთების ბეჭდვა და გავრცელება ბავარიაში; ამზადებს ზომებს ახალგაზრდა კომუნისტთა მოძრაობის ჩასაკლავად. „ფორვერტსი“ ხაზს უსვამს რა კარას მთავრობის შეუსაბამო მოქმედებას, აღნიშნავს გერმანიის მთავრობის უძლურებას უზურპატორის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიუნხენის ცნობით, კარს განუცხადებია, რომ იგი „მეტად კარგი მონარქისტია“ მისთვის, რომ ჩაიდინოს ისეთი უაზრობა, როგორც მეფის გამოცხადება ბავარიაშია.

ლინიი-ენ-ბარრეაში ომში დაღუპულთა ძეგლის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ სთქვა, ვინც არ უნდა იყოს გერმანიის სათავეში, საფრანგეთი ვერ იტყვის უარს გარანტიებსა და რეპარაციებზედ. მოკლე ხანში ყველა ფრანგი დარწმუნდება ჩვენი პოლიტიკის სისწორეშიო. გერმანია სცდილობს შეთანხმებას და ინგლისისაგან არ უნდა ველოდეთ წინააღმდეგობას. საფრანგეთი ყოველ ზომას იხმარს ანტანტის გასამაგრებლად, მაგრამ იზოლიაციის შემთხვევაშიაც კი საფრანგეთი წავა ერთხელ არჩეული გზითაო.

კერზონის სიტყვამ გერმანიაში მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. შტრეზემანმა განაცხადა, რომ იგი მეტად კმაყოფილია სიტყვისა.

ორშაბათს რეიხსტაგის (საკავშირო საბჭო) სხდომაზე დიდის უმრავლესობით მიღებულ იქმნა კანონი „მტკიცე მთავრობის“ შესახებ. კანონი ვრცელდება, ფინანსიურ, სამრეწველო და სოციალურ ნაწილებზედ გარდა მუშაობის დროს დებულებისა კანონ-პროექტი გადაეცა რეიხსტაგს.

რეიხსტაგში „მტკიცე მთავრობის“ შესახებ კანონის მიღება იმავე დროს იქნება შტრეზემანის კაბინეთისათვის ნდობის გამოცხადება. კანონის მიღების შემდეგ რეიხსტაგის მუშაობა შესწყდება.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარეშეთ

**ოსაკა**. გაზეთ „ოსაკის“ ცნობით, კარახანსა და ჩინეთის წარმომადგენელს ვან-ჩუნ-კიჰს ქონდათ საუბარი. მომავალ კვირაში ელიან მოლაპარაკების დაწყებას.

**მოსკოვი**. მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის პროფესორი ლიუ, რომელიც გამოგზავნა პეკინის უნივერსიტეტმა რუსეთში სახალხო განათლების საქმის გასაცნობად. ლიუმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა ფაკულტეტებს. ყოველივე ნახულმა ლიუზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**თეირანი** (სპარსეთი). ქვემო ნოვგოროდის ბაზრობის გახსნასა და ინგლისის საქონლისთვის ბოიკოტის გამოცხადებასთან დაკავშირებით, სპარსეთში ინგლისის საქონელზედ ფასები ძალიან დაეცა.

**რიგა**. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ს. ს. რ. კ. და ლატვიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება დაიწყება რიგაში, ტრანზიტის ტარიფის საკითხების მოგვარების შემდეგ.

## უცხოეთი

**პარიზი**. ოსმალეთის ჯარი დიდის ზეიმით შევიდა კონსტანტინოპოლში. მცხოვრებნი ჯარს ოვაციებით შეხვდნენ.

**ბერლინი**. პარიზის პრესა მეტად ნაწყენია კერზონის სიტყვით საიმპერიო კონფერენციაზედ. „ეკო დე პარი“ აცხადებს, კერზონის სიტყვის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი კვლავ იჩენს თავს.

**რომი**. გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ“—ის ცნობით, ჩრდილოეთ პორტუგალიაში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც გამოწვეულია გომეცის კაბინეთის მოწინააღმდეგეების მიერ. რკინის გზის მიმოსვლა შეწყვეტილია.

**რომი**. სამხრეთ-სლავიის ელჩმა რომში, ანტონოვიჩმა და მუსოლინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყოფილ ავსტრო-ჰუნგრეთის სავაჭრო ფლოტის იტალეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის გაყოფაზედ.

**მოსკოვი**. ბოლგარეთის კომპარტიის წარმომადგენელმა კომინტერნში საპუნოვმა „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ, თუმცა ფაქტიურად ბოლგარეთის აჯანყება ჩააქრეს და მთავრობამ გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება დროებითია, რადგანაც ხალხი ერთსულოვნად თანაუგრძნობს მეამბოხეებს. თვით აჯანყებულნი გაიხიზნენ მთებში და განაგრძობენ ბრძოლას. საპუნოვს სამხრეთ-სლავიიდან კოლაროვისაგან მიუღია წერილი, სადაც იმედიანად აცხადებს: „მაინც კიდევ, ბოლგარეთში იქნება მუშათა-გლეხთა მთავრობაო“.

**ვენა**. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა დახმარება აღმოუჩინოს ბოლგარეთის ლტოლვილებს და დაასახლა ისინი სამხრეთ პროვინციებში.

**ლონდონი**. საიმპერიო კონფერენციაზედ გარეშე საქმეთა მინისტრმა კერზონმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობაზე. კერზონმა აღნიშნა, რომ მას არ სჯერა ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება, რომელსაც ბალდვინი თავის მოლაპარაკების შედეგად სთვლის. რურის საკითხში მან წამოაყენა რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ავტორიტეტიულ პირების აზრით, მეტად არასასურველ შთაბეჭდილებას მოახდენს საფრანგეთზედ. მან განაცხადა, საფრანგეთმა არ უნდა იფიქროს, რომ მარტო ის არის სარეპარაციო საკითხებით დაინტერესებული. პასიური წინააღმდეგობის მოსპობა მას არ მიაჩნია მოკავშირეების გამარჯვებად. ჯერ ჯერობით წინააღმდეგობის შეწყვეტამ მხოლოდ ერთი შედეგი მოიტანა: გერმანიაში დაიწყო შინაური ნგრევა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური, ხოლო ეს კი ნიშნავს მოვალის დაკარგვას. ინგლისი მზად არის ბევრი რამ დასთმოს სარეპარაციო საკითხებში, ოღონდ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი შეიძლებოდეს შეთანხმება. პოლიტიკურ წრეებში კერზონის სიტყვას აფასებენ, როგორც მასსა და ხალშენების პრემიერების გამარჯვებას ბალდვინზედ.

**ოსაკა** (იაპონია) გაზეთი „დზი-დზი" მინისტრთა საბჭოსაგან მოითხოვს ჯარების შემცირებას 10 დივიზიამდე და სამსახურის ვადის შემცირებას ერთ წლამდე.

**ოსაკა.** გაზეთ „ასახის" ცნობით იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს გამოსცეს კანონი საყოველთაო არჩევნების შესახებ.

**ოსაკა.** გამოცხადებულია, რომ თანახმად ვაშინგტონის ხელშეკრულობისა ისპობა 5 დრედნოუტი, 3 კრეისერი და 2 თანამედროვე დიდი დრედნოტი.

**ვენა.** რუმინეთში სემიგრადიაში აღმოაჩინეს ფაშისტური შეთქმულება, რის გამო იქ გამოცხადდა საალყო წესები.

**ვენა.** ზოგიერთ გაზეთების ცნობით. ექსპერტთა კონფერენციაზედ ტანჯერის საკითხზე ერთსულოვნება სუფევს. მოკლე ხანში მოიწვევენ პლენარულ კონფერენციას, სადაც მიიწვევენ აგრედვე ამერიკასა და იტალეთს. ტანჯერის კონფერენციის ოფიციალური ცნობები აღნიშნავენ საფრანგეთის დათმობის პოლიტიკას.

**ვენა.** მთავრობის ტერორი ბულგარეთში უსაზღვროდ იზრდება. მაკედონელების დამსჯელი ექსპედიციები ტყვე კომუნისტებისა და გლეხების მასიურ დახვრეტას აწარმოებენ. მოსამსახურე-კომუნისტებს ითხოვენ. მთავრობის გაზეთები ავრცელებენ ცნობას დაპატიმრებულთა თვითმკვლელობის შესახებ.

**ოქსფორდი.** იაპონიაში ყველაზედ მღელვარე საკითხი ახლა არის საკითხი დამზღვევ კამპანიების პასუხისმგებლობის საკითხი მიწის ძვრის მიერ მიყენებულ ზარალში. ტოკიოში სხვა და სხვა ნაწილებში ხდება ამ საკითხზედ მიტინგები. პოლიცია ებრძვის ამ მოძრაობას.

**ოსაკა.** იაპონიის მთავრობას განსახილველად შეაქვს კანონ-პროექტი, რომლითაც ყველა მამაკაცს 25 წლის ზევით და 6 თვის ბინადრობის ცენზით არჩევნების უფლება ეძლევა.

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა მეტად უკმაყოფილოა კერზონის სიტყვისა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ სიტყვამ წამოაყენა ბალდვინსა და კერზონს შორის არსებული უთანხმოება და, რომ სიტყვამ გაფანტა ის იმედები, რომელიც შეიქმნა საფრანგეთში ბალდვინ-პუანკარეს მოლაპარაკების შემდეგ.

**პარიზი.** ექსპერტთა კონფერენციამ ტანჯერის საკითხში ერთხმად მიიღო მაროკოს სულთანს შერჩეს ფორმალური უფლება, თუმცა მას უფლება არ ექნება ჩაერიოს პოლიტიკურ საქმეებში.

**ვენა.** ათინიდან მიღებულ ცნობით, სამხრეთსლავიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლითაც სამხრეთ-სლავიას სალონიკში ეძლევა თავისუფალი ზონა 50 წლით.

# ახალი ამბები

— **ს. იოსელიანის დაბრუნება.** ამ დღეებში ფერეიდანში ბრუნდება სპარსელი ქართველი ს. იოსელიანი, რომელიც საქართველოში გამოგზავნილი იყო ფერეიდნელ ქართველთაგან—საქართველოს მთავრობასთან, რათა მათთვის გაეხსნათ ქართული სკოლა და ერთიც საავადმყოფო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჯერ-ჯერობით ამისი განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა და აგერ მთელი 1 წლის ლოდინის შემდეგ ს. იოსელიანი გულდაწყვეტილი ბრუნდება უკან სპარსეთში. სამწუხაროა რომ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

— **სრ. საქართველოს მეცნიერ-ტეხნიკოსთა ყრილობა.** საქ. პროფ. კავშირთა საბჭოთა საბჭომ დაადგინა: სრულიად საქართველოს მეცნიერულ-ტეხნ. ძალთა ყრილობა მოიწვიოს ამა წლის 3 ნოემბერს.

— **წინადადება ყველა სახელმწიფო და საზოგადო და კერძო დაწესებულებებს.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს წინადადება ეძლევათ, შეიძინონ და თვალსაჩინო ადგილზე იქონიონ კედელზე გასაკვრელი ახლად დაბეჭდილი შრომის კანონთა კოდექსი.

— **მოზარდთა მუშების შესახებ.** შრ. სახალ. კომისარიატი იმუშავებს დადგენილების პროექტს წვრილ სახელოსნოში, შინა წარმოების და კოოპერატიულ დაწესებულებებში მოზარდი მუშების მიღების შესახებ.

— **საფონდო მიწების საგლეხო კომიტეტებზე გადაცემა.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა მიიღო სათანადო ზომები მაზრებში გლეხთა კომიტეტებზე საფონდო მიწების გადასაცემად, კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს ასეთი მიწების კოლექტიური დამუშავება, აღნიშნულ მიწების მოსავალი უმთავრესად მოხმარდება ობლებს, ქვრივებს, და შრომის ინვალიდებს.

— **მადლობა.** აზერბეიჯანის სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის კომიტეტმა ცეკავშირს გამოუგზავნა მადლობის ბარათი აზერბეიჯანის ვაჭრობა-სამრეწველოს სახ. კომისარიატის მუზეუმისათვის ქერამიკული ნაწარმოების მთელი კოლექციის საჩუქრად გადაცემის გამო.

— **გლეხთა სამაზრო კომიტეტები.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომის. ოფიციალური მიწერილობები დაუგზავნა სამაზრო რწმუნებულებს იმ მაზრაში, სადაც უკვე დამთავრდა სასოფლო სათემო საგლეხო კომიტეტის არჩევნები, გაჩქარებით მოაწყონ გლეხთა სასოფ. კომიტეტის წარმომადგენლების სამაზრო ყრილობა გლეხთა სამაზრო კომიტეტების მოსაწყობად.

— **შრომის ბირჟა.** 8 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადა—678 უმუშევარი ახლად ჩაეწერა—270 უმუშევარი სამუშაოზე გაიგზავნა—63 უმუშევარი.

— **თავის მოწამლა.** 6 ოქტ. მოქ. ნინა აგარანოვისამ მცხ. თიატრალურ შეს. № 18-ში, მოიწამლა თავი, რომელიც გადაგზავნილია მიხეილის საავადმყოფოში, მიზეზი თავის მოწამლისა გამოურკვეველია.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში ამ თვის 1-დან გახსნილია სამაგალითო—საჩვენებელი სკოლა მოზრდილთათვის. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ოთხჯერ. მსურველთ შეუძლია ჩაეწერონ მსმენელად სახლის მდივანთან (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა, სართული მესამე, დილის 9 საათიდან 3-მდე.

— **ე. ნინოშვილის ძეგლი ჩაქვში** ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის აღსანიშნავად დღესასწაულის დღეს დიდი ზეიმით გაიხსნება ე. ნინოშვილის ძეგლი.

— **გან. სახ. კომისარიატის წინადადება.** გან. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა განათლების ყველა განყოფილებებს, რათა მათ მოახდინონ სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშთა რაოდენობის გამოსარკვევად რეგისტრაცია და აღრიცხვა იმ ბავშთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი შრომის სკოლაში შესვლისა, მაგრამ ჰასაკის ან სხვა მიზეზების გამო სკოლის გარეშე დარჩნენ.

— **ქურდის შეპყრობა.** 6 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე არამ მხიტარიანცმა მოჰპარა ბათომიდან ჩამოსულ მგზავრს ანნა ვოჩაგაროვისას კალათი სხვა და სხვა ნივთებით, ქურდი შეპყრობილ იქნა.

— **უბედური შემთხვევა.** 6 ოქტ. ღამით სოფ. მუხათ-გვერდთან, რკინის გზაზე, მატარებელს გაუსრესია ურემი, უღელი კამეჩი და თვით ურმის პატრონი.

— **ქურდების შეპყრობა.** 1 ოქტ. შეპყრობილი იქნენ იაკობ ზავალკინი და პავლე გალვინი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სხვა და სხვა ქურდობაში, დამნაშავენი გამოტყდნენ დანაშაულში.

— 6 ოქტომბერს ექიმ კალანდარიშვილის ბინაზე, მცხოვრები ოლღას ქ. № 3 მოსულა ვიღაც უცნობი პირი და მიუწვევია ავადმყოფის გასასინჯად მთაწმინდაში ექიმი ჯერაც არ დაბრუნებულა.

— **ვალიუტის კურსი.**

8 ოქტომბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 59,500,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 54,200,000 „ |
| ჩეკი. | 49,550,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 12,400,000 „ |
| ჩეკი. | 11,550,000 „ |
| ოსმალური ლირა | 6,800,000 „ |
| საბჭოთა ფული | 13,000 „ |

# პარტიაში

ხუთშაბათს, ოქტომბრის 11-ს მარქსის კლუბში შესდგება ამხ. **პლატონ კვირკველიას** მოხსენების გაგრძელება. ამხანაგებს ევალებათ დასწრება.

ტ. კ. მდივანი: **ხოფერია.**

ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მოქ. **შოთა ილიას ძე მანაგაძე** გამორიცხულია პარტიიდან, სისტემატიურად დისციპლინის დარღვევისა და პარტიულ დავალებათა შეუსრულებლობის გამო.

**ტფილისის კომიტეტი.**

# წერილი ფერეიდნელ ქართველთაგან

ამ დღეებში ფერეიდნელ ქართველთა წარმომადგენელმა ს. იოსელიანმა ფერეიდანიდან მიიღო წერილი, რომელიც წამიკითხა და რომელშიც სხვათა შორის შემდეგსა სწერენ: ამ რამდენიმე ხნის წინეთ შენგან გამოგზავნილი წერილი მივიღეთ, რომელმაც ძრიელ გაგვახარა და გვასიამოვნა, რომ შენ მშვიდობით ჩახველი სამშობლო საქართველოში და რა კი შენ ამოდენა შრომა გასწიე და იკისრე ჩვენი ფერეიდნელ ქართველების მდგომარეობის გაუმჯობესება. იმედი გვაქვს საქმეს კარგათ მოაგვარებ, რომ ჩვენ რამე სიკეთე გვეღირსოს. ეგები ამ ჩვენს ტანჯვასა და ჩაგვრას, მოვრჩეთ და რამე მალამო მოეცხოს ჩვენს გაჭირვებას. და ამასთანავე შენი ამოდენა შრომა არ დარჩენილიყოს უსარგებლოდ. გისურვებთ მალე დაბრუნებას კარგათ და მშვიდობით, რადგანაც ჩვენ წრეულს უშენობით ძალიან შეწუხებულნი ვიყავით. ამის შემდეგ გთხოვთ ბატონო სეიფოლა, რომ ყველა ჩვენს სამშობლოს ხალხს, ძვირფას და საყვარლებს, ძმებსა და დებსა, დიდით პატარამდე, ყველა ჩვენს ნათესავებს ჩვენს გვარებს, ტფილისში და მთელ საქართველოში გადასცეთ ჩვენი ძმური მოკითხვა და სალამი. იყვნენ და იცოცხლონ კარგათ და მშვიდობით.

წერილის ბოლოში ხუთი ბეჭედი აზის, სოფლის მიერ ამორჩეულ მეთაურ პირთა. **ვ. ბ.**

# სრ. საქ. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგეთა მე-2 ყრილობა

მეექვსე სხდომა 19 სექტემბერი.

სხდომას ხსნის ამხ. კ. ნანეიშვილი დილის 10—30 წუთზე გრძელდება მოხსენება ადგილებიდან.

მოხსენება თელავის მაზრის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების შესახებ. (ამხ. ლუკაშვილი).

ლუკაშვილი აღნიშნავს კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მუშაობის შესახებ. საერთო დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა განყოფილებას მუშაობაში იყო უსახსრობა. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ამ ბოლო ხანში ყოფილა ცუდათ, განყოფილებას თანახმად ზეგანკარგულებისა დაურღვევიათ კოლლექტიური ხელშეკრულება.

განყოფილების განკარგულებაში ყოფილა შემდეგი წარმოებანი: ელსადგური, რომელიც კაპიტალურად შეკეთებულა, მუშაობს 65 ძალიანი მოტორი, სტამბა და წისქვილი, ახლად გაშენებულა სასაკლაო.

სათანადო ყურადღება მიქცეული ჰქონია წყაროების მოვლას რათა უკანასკნელები არ დაშრენ. შენდება ახალი ტიპის აბანო.

თელავში ყოფილა 7 მუნიციპალურად ქმნილი სახლი.

ქ. თელავში შეკეთებულია ფ. მახარაძის ქუჩა. შეკეთებულია აგრეთვე მდ. ალაზანზე შაქრიანის ხიდი. მიწის აღრიცხვა უკვე სწარმოებს.

შემდეგი მომხსენებელი სიღნაღის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. აივაზოვი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სწარმოებს მუშაობა სამაზრო ცენტრის და მაზრის გადმოტანა ისევ ქ. სიღნაღში გარდა ქ. სიღნაღისა მაზრის ფარგლებში არსებობს აგრეთვე ქ. ველისციხე და ქ. ლაგოდეხი.

სწარმოებს მუშაობა ქალაქის კეთილ მოწყობისათვის შეკეთებულია მრავალი კლუბები და გზე-

# ისტორიული დოკუმენტები

III. შავი წიგნი.

დემოკრატიულ საქართველოს მესვეურები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო პოლიტიკური ბრძოლით, დატუსაღებით, გადასახლებით, აწიოკებით საბჭოთა რუსეთის ორიენტაციისათვის მებრძოლ რევოლიუციონერების. მართალია, „სასახელო" საგანგებო რაზმი პირნათლად ასრულებდა რამიშვილკედიას დირექტივებს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი საბჭოთა რუსეთთან დაძმობილებას აზრისაგან ქართველი მუშისა და გლეხის განთავისუფლება. დღის წეს-რიგში დასმულ იქმნა **იდეური ბრძოლის** საკითხი. განსაკუთრებით 1920 წელს გაშალა ფრთები მენშევიკების ლიტერატურულ ნიჭმა და შემოქმედებამ.

იდეურ პრაპაგანდის ისარი ურტყამდა კომუნისტურ რუსეთის ნიშანში. მართლაც ამ ხანებში რევოლიუციონური რუსეთის საშინაო ცხოვრება სახარბიელო სურათს არ წარმოადგენდა. 1920 წ. იყო მძიმე, სერიოზული, ერთობ კრიტიკულიც საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში. სამოქალაქო ომებმა, ყოველ მხრით გაშლილ ფრონტებმა, გიგანტიურ სამხედრო ოპერაციებმა პროლეტარული სახელმწიფო დაასუსტა ეკონომიურად, დააუძლურა ფინანსიურად. საჭირო იყო ალექსანდრე მაკედონელის გამბედაობა, რომ „გაველურებულ, გამხეცებულ" კომუნისტურ რუსეთის სასარგებლოდ გეწერათ, გელაპარაკათ. მენშევიკები და მათი ავან-ჩავანი პოლიტიკური წრეები, მოკლებული ასეთ „გამბედაობას", დღე და ღამე აწრიპინებდნენ კალამს და ქართველი ხალხის წინაშე შლიდნენ კომუნისტურ რესპუბლიკის გულშემზარავ პეიზაჟებს.

ჩვენ შეგნებით გვერდს ვუხვევთ ჟურნალ-გაზეთების ფურცვლას. საგაზეთო წერილები ხშირად აფექტაციის გავლენით იწერება. ამდენად იგი არ გამოგვადგება მწერლის სულისა და გულის ნამდვილი ზრახვების გასაგებად. საგაზეთო სტატიებს უმთავრესად მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ „დამჯდარი გონებით" ინტელექტუალ შემოქმედებასთან, რომლის ნაყოფი **წიგნის** სახით გვევლინება. მაგრამ შეუძლებელია განსაკუთრებული გარემოების აღუნიშვნელობა. სოც.-დემ. ჟურნალ-გაზეთები უხვად ვრცელდებოდა მუშათა წრეებში. ყოველ წერილს, ყოველ სტრიქონს დიდი მნიშვნელობა ქონდა მასსის გასაბრიაბრუებლად. ამ მხრით, 1920 წლის მეორე ნახევარში, „ეშმაკის მათრახი" აჭარბებდა ყოველივე მოლოდინს. იმორისტული წერილები და ფელეტონები, კარიკატურები და შარჟები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: საბჭოთა რუსეთის გამასხარავებას და მისი პრესტიჟის დაცემას ქართველი მშრომელი ხალხის თვალში. სამწუხაროდ, მენშევიკური პრესა დიდის წარმატებით ახდენდა დასახულ მიზნების რეალიზაციას.

მაშ წიგნების ენაზე ავლაპარაკდეთ.

იდეურ ბრძოლაში რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ რესპუბლიკის უზენაესი ორგანო-დამფუძნებელი კრებაც ჩაერია. მენშევიკების წინადადებით დამფუძნებელმა კრებამ თავის წრიდან გამოყო რამდენიმე დეპუტატი, რომელსაც უწოდა **„დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისია".** გარეგნულად, ფორმალ თვალსაზრისით, „კომისიის" მიზანს რესპუბლიკის ფარგლებში გამოცემულ კანონ-დეკრეტების, საშინაო და საგარეო ვითარების ახსნა-განმარტება, ამ თემებზე პოპულიარულ ბროშურების გამოცემა შეადგენდა. „კომისიამ" გააფართოვა მოქმედების სარბიელი და რევოლიუციის ისტორიას გადასცა შავი მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიმუშები.

1920 წ. „კომისიამ" ქართველი მუშისა და გლეხის ხარჯზე გამოსცა **სეით დევდარიანის წიგნი: „როგორ სცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში".** სეითი იყო სოც.-დემ. პარტიის ცენტრალ კომიტეტის წევრი და სახელგანთქმული „ლიტერატურული ფალავანი". მას ჰქონდა „მდიდარი" მასალები რუსეთის ცხოვრებიდან, წერისა და ლაპარაკის შნოიანი სტილი. დამშვიდებული გრძნობით მოუსმინოთ მენშევიკური სიბრძნის უკანასკნელ ფილოსოფიურ დასკვნებს.

წიგნის პირველივე სტრიქონები სასტიკ ომს უცხადებს ბოლშევიზმს. „დიდი საქმე იკისრეს ბოლშევიკებმა,—სწერს დევდარიანი.—მთელი ქვეყანა ჯოჯოხეთის ცეცხლში იწოდა, მოინდომეს ამ ცეცხლის უცებ ჩაქრობა. ომი გამოუცხადეს ომს, ეგონათ, ახლავე დავიმყარებთ მშვიდობიანობას და კაცთა შორის სათნოებასო. სამგლოვიარო ზარი დაურეკეს კაპიტალისტურ წეს-წყობილებას და კაცობრიობას მიუთითეს სოციალიზმის კარებისაკენ. ამ **საქმეში ბოლშევიკებმა გამოიჩინეს დონკიხოტური გამბედაობა და დონკიხოტური უჭკუობა"** (გვ. 3, ხაზი ჩვენია, შემდეგშიაც ჩვენი იქნება გ. მ.). რაში გამოიხატებოდა კომუნისტების დონკიხოტური უჭკუობა"? ამ კითხვაზე მშრომელ მასსას დევდარიანი შემდეგ პასუხს აძლევს: „კაპიტალიზმმა სიმდიდრე მისცა კაცობრიობას და ერთი ქვეყანა დაუახლოვა მეორეს.

კაპიტალიზმის მოსპობა შეიძლება ორნაირად. შეიძლება ისე მოისპოს, რომ მთელი ეს სიმდიდრე, მთელი ეს მისი მემკვიდროებაც თან გადაჰყვეს, და მაშასადამე სოციალიზმის მოსაწყობი მასალაც დაიკარგოს, მისი ბუდეც დაირღვეს. შეიძლება მოისპოს ისეც, რომ კაპიტალიზმის დროს შეძენილი სიმდირე ხელში დაგვრჩეს, ის სხვა საძირკველზე გადავიტანოთ, კიდევ უფრო ვზარდოთ და უკეთესად გამოვიყენოთ. ბოლშევიკები წავიდნენ პირველი გზით. **კაპიტალიზმის მღვრიე წყალი დააქციეს და სოციალიზმის ჩანასახიც თან გააყოლეს"** (გვ. 5—6). ბოლშევიკები „ებრძოდენ კაპიტალისტებს, და არა კაპიტალიზმს"—ასკვნის მოქ. დევდარიანი.

კომუნისტების სოციალისტურმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია დაუსრულებელი ანარქია წარმოებაში. მოშალეს საწარმოო იარაღები, რადგან ფაბრიკა-ქარხნები თვით მუშებს გადასცეს. მუშებმა კი სახელმწიფო ქონება ჯგუფურ ანგარებას დაუმორჩილეს. ემსახურებოდნენ კერძო ინტერესებს და სულ არ იტკივებდნენ თავს საზოგადო ინტერესებზე". ყოველივე ამან გამოიწვია სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში „არევდარევა ისეთი, როგორიც ბაბილონის გოდოლის აშენების დროს" (გვ. 8).

მსხვილი მრეწველობის განადგურებამ, მუშათა ხელფასის დაცემამ, ნედლი მასალის დაუმზადებლობამ, მისვლა-მოსვლის შეფერხებამ „მრეწველობას, აღებ-მიცემობას შეუჩერა სისხლის ბრუნვა. საქონლის გადატან-გადმოტანა უსაზღვროდ ძვირდება. წარმოებას აკლდება საკვები მასალა. ბოლოს და ბოლოს ფაბრიკა-ქარხნებში ხმაურობა აღარ ისმის, მილებიდან ბოლი აღარ ამოდის. ერთისიტყვით **სიკვდილი სიცოცხლის მაგივრად"** (გვ. 18).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს „ასე იყო მაშინ, როცა სამოქალაქო ომი მოსკოვის გარშემო ხდებოდა". მაგრამ არა მხოლოდ მაშინ, კატეგორიულად აცხადებს მოქ. დევდარიანი, არამედ **„ასეა ახლაც, როცა ბოლშევიკებმა დაამარცხეს დენიკინი და კოლჩაკი და შემოიერთეს თითქმის მთელი რუსეთი"** (გვ. 21). ერთი სიტყვით, „სოციალისტურმა" აჩქარებამ რუსეთი **უკან დასწია თითქმის მთელი საუკუნით"** (გვ. 20).

რა გზას უნდა დასდგომოდნენ ბოლშევიკები ცხოვრების ნორმალ კალაპოტში ჩასაყენებლად? რა საშუალებით შესძლებდა საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის დამყარებას? კომუნისტები დაადგნენ იმპერიალისტურ-კოლონიალ პოლიტიკის წარმოების ნიადაგს. **„ეკონომიურმა მდგომარეობამ**—განაგრძობს ანალიზს ავტორი **—ბოლშევიკებს შეაცვლევინა პოლიტიკური ხაზ[illegible] იმპერიალისტების წინააღმდეგ გამოვიდნენ [illegible] ბოლოს... თვითონ გაიმპერიალისტდნენ.** ევროპ[illegible] ყაჩაღებს ვერ გავაყვლეფინებთ პატარა ერებს, ჩვ[illegible] გამოვესარჩლებით და დავიცავთ ამ ერების თავი[illegible] სუფალ, დამოუკიდებელ არსებობასო. ერთი წლ[illegible] შემდეგ კი აქაქანდნენ, რაც შეიძლება მალე უნდ[illegible] **შემოვიერთოთ და დავიმორჩილოთ უკრაინა, თურ[illegible] ქესტანი, დონეცის რაიონი, ბაქო, გვჭირდება, პურ[illegible] ნახშირი და ნავთიო.** ეს ნედლი მასალა დასჭირდებოდათ მსხვილი მრეწველობის გამოსაცოცხლებლად ამ გაჭირვებამ დაავიწყათ ეროვნული თვითგამორკვევა. წინეთ ამბობდნენ,—ყველას შეუძლია, თ[illegible] მოინდომებს, გამოგვეყოს და ცალკე იარსებოს[illegible] მერე **წითელი რაზმები გაგზავნ-გამოგზავნეს და[illegible] სამორჩილებლად.** ბოლშევიკური საქმე დაშორდ[illegible] ბოლშევიკურ სიტყვას" (გვ. 15). აქედან აშკარა[illegible] ბოლშევიზმის იმპერიალისტური სარჩული, ან, ს[illegible] ითის თერმინოლოგიით რომ ვსთქვათ,—**„ბოლშ[illegible] ვიკური რევოლიუციის რეაქციონერობა"** (გვ. 3[illegible]

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ ის მდგომარე[illegible] ბა, რომელშიც ბოლშევიკებმა ჩააყენეს სოფლ[illegible]

..., სწარმოებს წყალსადენის აღდგენა. აშენებენ ...ანოს, რომლისთვის საკმაო მასალა უკვე გამზა-...ებული ყოფილა. განზრახული ყოფილა საზეინკლო ...ხელოსნოს გახსნა.

კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში ...ოფილა შემდეგი წარმოებანი: ელსადგური, რომე-...ლიც შეუკეთებიათ; და წისქვილი, რომელიც შეჩე-...ებულია სათბობ მასალის სიძვირის გამო.

ამ რიგად დასრულდა მოხსენებანი ადგილები-...დან და იწყობა მათი მუშაობის გადაფასება: მონა-...ილეობას იღებენ შემდეგი ამხანაგები: მ. გავაშელი ...უთაისიდან), სეერგევი (ნახშირის ა. მ. მდივანი) ... ნანეიშვილი (შ. ს. ს. კ. კომუნალურ განყოფ. ...ამგე).

ორატორები აღნიშნავდენ მძიმე მდგომარეო-...ბას, რომელშიდაც უხდებოდათ მუშაობა და გამო-...თქვამენ იმედს, რომ ამიერიდან მათი მუშაობა ...იქმნება უფრო ინტენსიური.

მოხსენება საბინაო პოლიტიკაზე. მომხსენებე-...ლი ამხ. ბ. ფურცხვანიძე აღნიშნავს იმ აწვავე ...მდგომარეობას, რომელსაც განიცდიდა ბინების ...ნაკლობის გამო არა მარტო საქართველო და ...ერთოდ საბჭოთა რესპუბლიკები, არამედ მთელი ...როპა.

შემდეგ მომხსენებელი ყრილობას აცნობს შ. ... კ. კომუნალურ მეურნეობის მთავარ განყოფი-...ბის იმ მუშაობას, რომელიც გაკეთდა საბინაო ...ზისის დასაძლევად, რისთვისაც გამოიცა დეკრ-... № 9 სახკომ. საბჭოს მიერ, რომელიც აღნიშნულ ...ითხს სწყვეტავდა უფრო პალიატიურად ვიდრე ...სებითად, რისთვისაც ადგილობრივ ხელისუფლე-...თა მიერ ხშირი იყო შემთხვევები მათი დარღვე-...ბისა, რამაც უფრო მეტად გაამწვავა საბინაო ...იზისი.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკიზე გადასვლით ძირფესვიანათ შეიცვალა საბინაო საკითხის გადა-წყვეტა. კრიზისის დაძლევა შეიძლებოდა მხოლოდ საცხოვრებელ სივრცის გაფართოებაში და სახლე-ბის აგება-აშენებაში, რომლებიც უნდა გამოიხატე-ბოდეს შემდეგში: ა) საბინაო-საალმშენებლო ამხანა-გობების დაარსებით; ბ) საალმშენებლო საქმისათვის გრძელ ვადიან სესხების გაღება (კომუნალურ ბან-კებიდან) გ) კომუნალურ დაზღვევის შემოღებით; დ) სამუნიციპალო სახლების ფონდის შექმნით პროფ-კავშირებისათვის გადასაცემად ე) მუნიციპალურ ნაციონალურ და კერძო მფლობელების სახლების საბოლაოდ განსაზღვრით, ე. ი. კერძო მეპატრონე-თათვის უფლებრივი გარანტიის შექმნა ვ) საბინაო საკითხის გადაწყვეტაში ადმინისტრატიულ ხელი-სუფლების ჩაურევლობით. ზ) საბინაო განყოფილე-ბების სრული რეორგანიზაციით და სხვ.

დასასრულს მომხსენებელი ეხება ახლად გამო-ცემულ საბინაო დეკრეტს და მოითხოვს მის კანო-ნიერად და სათანადოდ შესრულებას და ადგილო-ბრივ ხელისუფლების მიერ სათანადო და სასწრაფო ყურადღების მიქცევას.

მოხსენების შესახებ შემოვიდა შეკითხვები.

შემდეგ არსებითად საკითხს შეეხნენ ამხანა-გები: ლუკაშვილი, მ. გავაშელი, გ. რამიშვილი და ნანეიშვილი, არსებითად არც ერთი არ ეწინააღმ-დეგებოდნენ მომხსენებელს, იმეორებდენ აუტანელ კრიზის და სწორედ და მართალ გზად ცნობდენ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს. შეკითხვებზე სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელ-მა ამხ. ბ. ფურცვანიძემ.

შემდეგი მოხსენება კომუნალურ ბანკის შესა-ხებ ამხ. გიგინეიშვილისა.

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რამდენად იმო-ქმედა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებმა სა-ხელმწიფოს ეკონომიურ კრიზისსზე და აღნიშნა თუ რამოდენი მნიშვნელობა აქვს მას ცხოვრების ყოველ დარგზე.

დღეს როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები სდგა-ნან მშენებლობის გზაზე საჭირო არის აღნიშნულ საქმისთვის ხელის შეწყობა უფრო იმ ორგანოების რომლებიც ეწევიან მშენებლობას და აღორძინე-ბას.

ამ მიზნით რუსეთში სახელდობრ პეტრო-გრადში, მოსკოვში დაარსდა ეგრედ წოდებული კომუნალური ბანკი, რომელიც ისახავს მიზნად მშე-ნებლობის ხელის შეწყობას მოკლე ვადიან და გრძელ ვადიან კრედიტების გაცემით. გრძელ ვადიან სესხის გაცემა შეიძლება 1-წლიდან 25 წლამდე კო-მუნალურ განყოფილებებზე, თუ ისინი თვითონ ეწევიან მის ექსპლოატაციას სამეურნეო წესით აგრეთვე სესხებს აძლევენ საბინაო ამხანაგობებს, კერძო პირებს და დაწესებულებებს თუ მათ იჯა-რით აქვს შენობები აღებული კომუნალურ განყო-ფილებებიდან ბანკი აძლევს სესხს 1 წლიდან 5 წლამდე ალმასკომებს და კომგონებს სხვა მრავალ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მოკლე ვადიანი სესხები არის ყოველ დღიური საკომერციო ოპერაციები. ბანკის ძირითადი თანხა შესდგება აქციებით ბანკის დამფუძნებელნი არიან ალმასკო-მები მათ ეკუთვნით 51 პროც. მთელი აქციებისა. დანარჩენი აქციები შეუძლია შეისყიდოს კერძო პირებმა.

აღნიშნულ ბანკის წესდების გამოსამუშავებ-ლად შ. ს. კ. კომუნალურ განყოფილებასთან უკვე შესდგა კომისია.

ყრილობა იწონებს ბანკის დაარსების პრო-ექტს და გამოსთქვამს სურვილს რათა უკანასკნელი რაც შეიძლება მოკლე ხანში დაარსებული იქმნას.

შემდეგი მოხსენება მიწად-მოწყობა და მიწის ფონდი ქალაქებში. მომხსენებელი გ. დეკანოზიშვი-ლი.

მომხსენებელი აღნიშნავს რა მნიშვნელობა აქვს მიწის საკითხს ქალაქის პროლეტარიატისა-თვის, მიუხედავად ამისა მას სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული, ამიტომ მომხსენებელი მოით-ხოვს რათა მიწის საკითხს ქალაქებში დიდი ყურა-დღება უნდა მიექცეს, ამისთვის ქალაქებმა ინტენ-სიურად უნდა აწარმოონ მეურნეობა, როგორც შემოსავლის ერთ ერთი წყაროთაგანი. ქალაქებმა უნდა გამოარკვიონ საზღვრები და გეგმა ნაკვეთე-ბად გადამიჯვნა და საადგილ-მამულო ფონდის აღ-რიცხვა მომხსენებლის აზრით ფონდი განაწილებულ უნდა იქმნას სხვა და სხვა საჭიროებისათვის, რო-გორც მხოლოდ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ ქალაქის ზრდა მომავალში მისი კეთილი მოწყობა, გაშენება, ინდუსტრიალურ წარმოებათა განვითა-რება. მაგალითი მოჰყავს უკრაინაში როგორ გა-დასწყვიტეს ეს საკითხი და როგორ ყურადღებას აქცევენ.

მიწის თავისუფალი ნაკვეთები უნდა მისცე-მოდეს ადგილობრივ მცხოვრებელთა მშრომელ მასას ამ მიზნით ნაკვეთები უნდა გადაეცეს პროფ-კავშირებს უსასყიდლოთ თუ საგრძნობელ დანაკლს არ შეადგენს განყოფილების ბიუჯეტისთვის შემდეგ დარჩენილი მიწები უნდა იქმნეს იჯარით გაცემული საბჭოთა დაწესებულებებზე, კოოპერატივებზე და ამხანაგობებზე მხოლოდ იმ პირობით, რომ რაციო-ნალურად მოიხმარონ.

დასასრულ მოსხსენებელი ილნიშნავს, რომ მიწად მოწყობა ქალაქებში უნდა დამთავრდეს 24 ახალს დასაწყისამდე.

მოხსენების შესახებ შემოვიდა შეკითხვები არსებითად შეეხნ საკითხს ბადრიაშვილი, რამი-შვილი და გავაშელი.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ დღეს დღე-ობით შეუძლებელი არის ქალაქის დაგეგმვა და უნდა გადადებული იქმნას დროებით, ვინაიდან მოითხოვს დიდ ხარჯებს.

მომხსენებელმა გასცა პასუხი ოპონენტებს. სხდომა იხურება 3—4 საათით.

სოსო ასლანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი

## პატარა ფელეტონის მაგიერ

(პროვინციის რამე-რუმე).

I

ვინ რას აკეთებს?????????
მე განქორწინებას ვაწყობ...
მე ბირჟაზე ვალსს უვლი!..
მე ვსპეკულიანტობ...
მე ვმასწავლებლობ...
მე ვიმღერი...
მე ქართულ ენას ვსწავლობ...
მე ჰაეროპლანებს ვაშენებ...
მე ელექტროფიკაცია შემოვიღე...
მე კონფერენციებს ვიწვევ...
მე „ვრომანტიკოსობ“...
მე „ვფუტურობ“.
მე „ვესტეტიკობ“.

მე—მე გველს აუდგი ენა, მან ჰაერი დაaორ-სულა, ორსულმა ჰაერმა „ცისფერი ყანწები“ შობა...

— მე ტფილისში უცხოელებს ვიჭერ და პრო-ვინციაში ვგზავნი საკულტურტრეგუროდ...

— მე საქართველოს რესპუბლიკის რუქას ვა-დგენ.

— მე ღეოღრაფიას ვსწერ.

— მე სიტყვას „ვიპყრობ“.

— მე გაზ. „მწვერვალის“ რედაქციას ნავთი წავასხი და უნდა „დავწვა“.

— მე საქართველოს უთხარ „adieu“ ჩრდილო-ეთს მივდივარ განათლების საძიებლად...

— მე ცოლი გამექცა და ცოლს დავეძებ...

— მე დავბერდი და გაახალგაზრდავება მსურს...

— მე ექიმ ხარატიანს დავეძებ ხიმშიაშვილის რესპუბლიკაში...

Mais ამდენი რა ამბავია, ერთი შენც რასა შვრებიო მკითხე რაღა—მკითხველო...

მე „რამე-რუმეს“ ვსწერ სხვა არაფერს თქვენმა მზემ მკითხველო...

უკაცრავად მკითხველო მაგრამ ერთი „მე“ j'oublie. მე ბუხგალტერიასაც ვსწავლობ რათა რკი-ნის გზის სადგურზე ვიშოვო სამსახური და ბილეთი „ჩერვონეცის“ კურსით ვყიდო მის დღიურ ბალანსის მიხედვით.

— მწარეა ამ დროს ლიხთ გადაღმა ქვეყანა...

ქარი წვიმა—წვიმა ქარი...

— ისე ცხარობს, ისე ცვლილობს, ისე გი-ჟობს ეს ამინდი როგორც „პახონდრია“ იმერელი...

— ქარებმა სახლები წააწვინ-წამოაწვინა...

— სამაგიეროდ ციება გარეკა...

— კოღოები გადააფრინა!..

— წვიმებმა ჭირნახული დაალპო, მაგრამ ნია-ღვარმა პროვინციალ ქალაქების „ტროტუარებს“ პირი დაბანა..

ჭუჭყი მოაშორა...

— ამინდი „პანიკის“ მომგვრელია, მაგრამ იმერეთში მაინც „მხიარულებაა“ ყველა „მაჭარს“ დაეძებს...

კონცერტებიც ძალიან „მოშივნიათ“...

„გრანდიოზული“ სპექტაკლებს ვინ მოსთ-ვლის!...

—ვალერი ჯვარიძე არის იმერთა შალიაპინი..

მისი გვარის შესატყვისობა ასეთია...

იყო ჯვარშეიშვილი.
გახდა ჯვარიძე
უკანასკნელ ვერსიით გადაიქცა

ჯვარელად ეს ალბად იმიტომ, რომ ჯვარი მეტად ჰყვარებია!..

ერთი თვის სიგრძეზე სწარმოებდა პროპაგან-და—ვალერი ჯვარელის კონცერტის პოპულიარიი-ზაციისათვის...

თვით ვალერიმ ფლორენციის სალებავებით დაახატვინა თავის პორტრეტი და აფიშებად გამო-აკრა!

ვიხილეთ კონცერტიც...
აყო და არა იყო რა...

იყო ლექსი გალაქტიონ ტაბიძისაგან ვალე-რისადმი მიძღვნილი, რომელსაც თვით ვალერი უკითხავდა თავის თავს...

იყო სიმღერა, რომლისათვისაც „სმენად მხე-ცნი მოვიდიანო“.

ე. ი. ყვავი რა ვარდსა იპოვის თავი ბულ-ბული ჰგონია და ect....

—

წიგნის მაღაზია წიგნებით სუქდება!..

—

ფოსტა იშვიათ სიბეჯითეს იჩენს...

გაზეთეის ერთი კვირიხას დააგროვებენ და ისე გადასცემენ!...

„დროთა ლიგის“ წევრები დილის 10 საათზე დგებიან, 5 საათს საამო მუსაიფში ატარებენ, ერთ მეოთხედს საათს სამხახურში, ხოლო 3 საათს „ხვალე მოდი, ან არ ვიცი, შენი თხოვნა ვერ ვნა-ხეთ“—

ძახებაში...

ჩემი საქმე ჩინებულად არის...

დაწესებულებებში საქმე არა მაქვს!..

„რამე რუმესავის“ თუ სადმე წაველ აბა ვინ მოინატრებს დიდიხნით ჩემს „გაჩერებას“ შეეშინ-დება „რამე რუმეში“ არ ჩამწეროსო.

ასე რომ მე დაზღვევებული ვარ...

სხვას თუ რამე უჭირს, მე სიამოვნებით მივი-ღებ მათ საჩივარს...

—

სოფლებში ბევრი საჩივრები მივიღე...

ჯერ ყველა არ გამირჩევია...

ვექილობა მომანდვეს სხვათაშორის 1 0 წლის დედაკაცებმა.

---

გლეხ-კაცობა. ჩვენ ვიცით, რომ იმ ხანებში საქარ-თველოში ცხოვრებაში ხორციელდებოდა ბურჟუა-ზიული აგრარული რეფორმა, მიწაზე კერძო საკუთ-რება იყო დაკანონებული. რა ქნეს რუსეთში კომუ-ნისტებმა? „მიწის საკითხში ისე თამამად არც ერთ პარტიას არ გაუვლია რუსეთის რევოლიუციაში,— ამბობს მოქ. დევდარიანი,—როგორც გაიარეს ბო-ლშევიკებმა. გლეხობამ მიწა იშოვნა მაშინ, როცა ეს თავზე ხელაღებული პარტია გამეფდა. მაგრამ... აქაც უპროგრამობა არ მოგვიხერხდება... მიწის საკითხი გადაწყდა ანარქიულად. გლეხებმა ხელში აიღეს ნაშოვნი მიწა უგზო-უკვლოდ, მოუწესრიგებ-ლად, არავინ იცოდა ვის რამდენი ეკუთვნოდა არავინ გრძნობდა თავის თავს ნაშოვნი მიწის მუდ-მივ პატრონად“ (გვ. 22). სასოფლო პოლიტიკაშიაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს „დონკიხოტური უჭკუობა“: მიწების სოციალიზაცია გამოაცხადეს. ესერებისა-ვით გლეხი სოციალისტური ბუნების ეგონათ. შეც-დნენ. ამიტომ „გლეხობას სტოლიპინმა უფრო აუ-ლო ალღო, ვიდრე ბოლშევიკებმა“. რაში გამოიხა-ტებოდა სოფლის მუშებზე ალღოს აღება?—მიწების კერძო საკუთრებად დანაწილებაში. ეს გაიგო სტო-ლიპინმა, ლენინმა კი—არა. „მეფის მინისტრი ხელს უწყობდა თემებიდან გამოცალკევებას, ცალ-ცალ-კე მესაკუთრეების გამრავლებას (სწორეთ ასე მო-იქცნენ მენშევიკებიც, სტოლიპინის მემკვიდრე ხო-მერიკიც ჩვენში! გ. მ.). ეს შეეფერებოდა (sic!) სა-ერთოდ სოფლის ინტერესებს. ბოლშევიკებმა შეა-ბრუნეს სტოლიპინის პოლიტიკა. ისინი ხელს უწ-ყობდნენ „სოციალისტური“ თემების შექმნას და გლეხს ახალიხებდნენ იქ შესასვლელად. აფერ-ხებდნენ კერძო საკუთრებას“ (გვ. 22—23). ასეთმა „უხეშმა“, „უტოპიურმა“ პოლიტიკამ სოფლის ეკო-ნომიური მაჯის ცემა ძალზე შეანელა, გლეხ-კაცო-ბას გამოაცალა ეკონომიურ კეთილდღეობის საფუ-ძველი. ამიტომაცაა, რომ საერთო სილატაკე და „სიღარიბე ...საკმაოდ დამახასიათებელია იმ „სო-ციალისტურ სამოთხის“, რომელსაც სათავეში უდ-გას ლენინის მთავრობა“ (გვ. 41).

სამოქალაქო ომი მოპირდაპირე კლასების შეიარაღებული შებრძოლებაა. როგორ ესმით და აწარმოებენ ბოლშევიკები კლასთა ბრძოლას?— „მუშათა კლასმა ამ (იგულისხმება ოქტომბრის. გ. მ.) რევოლიუციის დროს შეითვისა ყალბი შეხედუ-ლება. თუ ბურჟუები მოვსპე, ბურჟუაზიაც მოისპო-ბა, თუ კედლები დავანგრიე, საძირკველიც დაინ-გრევაო. მუშებმა დაკარგეს წარმოდგენა სოცია-ლისტურ მოძრაობაზე. აქამდი ეყურებოდა, რომ თავი და თავი საქმე წარმოებაა. ის უნდა მოეწყოს ისეთ ნიადაგზე, რომ სიმდიდრე—საწარმოო იარა-ღები—კერძოთ არავის ჩაუარდეს ხელში, აღარავინ ისარგებლოს სხვისი შრომითო. ახლა გაიგონა, რომ განაწილებაა მთავარი საქმე, წართმეულის წართმე-ვით და ასე ნაშოვნი ქონების დარიგებით მოეწყობა სოციალიზმიო. მწარმოებელი სოციალიზმის მაგივ-რად ფეხი მოიდგა მოხმარებითმა სოციალიზმმა“ (გვ. 33). ამას მოყვა საერთოდ ცნობილი“ მოვლენა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში: „მუშა გაირყვნა. რაღათ მინდა შრომა, როცა უშრომელადაც ყველა-ფერს მპირდებიანო. მუშები დაემგვანენ იმ სახარე-ბის ფრინველებს, რომელზედაც იესო ქრისტე ამ-ბობდა: არც სთესენ, არც მკიან, კლებით კი არა აკლიათ რაო“ (გვ. 34). შეუძლებელი იყო „რკინის აუცილებლობას“ მოეცა ჩვენთვის განსხვავებული შე-დეგები. ეს იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა შეატრიალა მარქსიზმი. „მარქსის მოძღვრებამ გვიანდერძა კაპიტა-ლიზმთანბრძოლა. ლენინის გადაბრუნებული მოძღვ-რებაშეეჯახა კაპიტალისტებს. წაართვით წართმეუ-ლიო,—ეს იყო მისი ახალი ლოზუნგი. ამით ისარ-გებლეს საეჭვო პირებმა, ნაძირალებმა. ცარცვა-გლეჯის დროს ეუბნებოდნენ თავის მსხვერპლს,— შენ ბურჟუა ხარ, აქამდის ჩვენს სისხლს სწოვდი, ახლა მოვიდა შენი განკითხვის დღეო. კლასთა ბრძოლა გადაიქცა უბრალო კლასთა მტრობად. ეს იყო ერთი კლასის მეორეზე მისიანება. დიდ მოძ-ღვრებას გამოეცალა დიდი ხარჩული“ (გვ. 30). ან კიდევ: ბოლშევიკებმა „დაგვანახვეს ისეთი სო-ციალიზმი, როგორიც არ ქონდა წარმოდგენილი მარქსს და ენგელსს. ისინი გვასწავლიდნენ, სოცი-ალიზმი გათანასწორებაა სიმდიდრეშიო. ბოლშევი-კებმა გამოაცხადეს თანასწორობა შიმშილში და სიღარიბეში... სოციალიზმი ამბობდა, ყველას უნ-და მიემატოს (ბურჟუასაც? გ. მ.), ბოლშევიზმი ამბობს,—ყველას უნდა მოაკლდესო“ (გვ. 35). ასეთია რუსული კომუნიზმის შინაარსი, ლენინ-ტროცკის პოლიტიკა, რომლის წყალობით „კლასთა ბრძოლის ისარი მიიმართა იხე მუშათა კლასის წინააღმდეგ“ (გვ. 36).

მიუხედავად რუსეთის უფსკრულისაკენ გაქა-ნებისა, საბჭოთა მთავრობა მაინც არ ანებებს თავს სახელმწიფოს პოლიტიკურ მესაჭეობას. არ არის გლეხთა აჯანყება, არ ირღვევა შინაური უწესრი-გობა. კითხვა ისმება: რაზე ემყარება იმპერიალის-ტურ ბოლშევიზმის ძლიერება? „სამს ვეშაპზე“— ამბობს მოქ. დევდარიანი. ეგ სამი ვეშაპია: ტერო-რი, ჩრეზვიჩაიკა (ჩეკა) და წითელი არმია. პირვე-ლი საბჭოთა რუსეთში ყოველდღიური კომუნისტუ-რი პრაქტიკაა. ბოლშევიკები „სპობენ ვითომ „ბუ-რჟუებს“, კონტრევოლიუციონერებს. ყველგან გა-მოიჩინეს უსაზღვრო სასტიკობა. უბრალო თითის ჩვენებით იჭერდნენ და გაუსამართლებლად ხვრე-ტავდნენ“. (გვ. 50). უფრო საშინელი ინსტიტუ-ტია ჩრეზვიჩაიკა. „მას არ ყავს თანასწორი წინა-პარი არც ერთ აქამდის მომხდარ რევოლიუციაში. ის ადგილს დაიჭერს მომავალ ისტორიაში საშუა-ლო საუკუნოების დაწესებულებებთან. რაც მალე ჩაბარდება ისტორიულ არხივს, მით უკეთესია რევოლიუციისათვის და მით უარესი რეაქციისა-თვის“ (გვ. 54)

„მესამე ვეშაპი, რომელზედაც ბოლშევიკური პარტია ამყარებს თავის დიქტატურას, ეს არის წი-თელი რაზმი“ (გვ. 54). იგი შესდგება სხვა და სხვა ინტერესების მქონე ელემენტებისაგან: ნაციონალი-სტების, „ჯიბისტების“ და სხ. „წითელი რაზმი ასრულებს დღევანდელ რუსეთში იმავე პოლი-ტიკურ და სამხედრო დანიშნულებას, როგორსაც ასრულებდა რევოლიუციამდის. ის ერთნაირი ია-რაღია რეაქციის და რევოლიუციის ხელშიაც“ (გვ. 60). მაგრამ თურმე წითელი არმია დაიშლება მყისვე, „როგორც დამარცხდება გარეშე მტერი“ (გვ. 58). ეს იმ მიზეზით, რომ მტაცებლობას შემ-დეგში ალბათ არ ექნება ადგილი და იმპერიალის-ტურ პოლიტიკას არ ექნება გასავალი.

ახლა ავღნუსხოთ ზოგადი დასკვნები.

I. „ბოლშევიკების სოციალისტურმა“ მარ-თვა-გამგეობამ დაარღვია რუსეთის ნივთიერი და სულიერი კულტურა, და შექმნა ისეთი მდგომა-რეობა, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შე-უწყობს სოციალისტური მოძრაობის განვითარე-ბას“ (გვ. 60).

II. „შემცდარია ვინც ფიქრობს,—ეს პრო-ლეტარიატის დიქტატურა არისო. ამას ფიქრობს მარტო ბურჟუაზია. თუ არ ფიქრობს, ამბობს მა-ინც. უნდათ, რომ ერთი პარტიის სიმახინჯე გა-დაადონ მთელ მუშათა კლასს, უნდა ჩირქი მოს-ცხონ თვით სოციალისტურ მსოფლ-მხედველობას. ვისაც მხედველობა არ დაუკარგავს, ის ადვილად დაინახავს, რომ რუსეთის პროლეტარიატი ყველა-ზე უფრო გახდა პარტიული დიქტატურის მსხვე-რპლი“.

Ш. მთავარი და ძირითადი დასკვნა, რომე-ლიც გამოხატავს მთელი ნააზრევის „სიბრძნეს“ და პროლეტარულ რევოლიუციის შინაარს: „პოლიტი-კურად მოკვდა რუსეთის მუშათა კლასი... ამის-თანა უსიცოცხლობა არ ახსოვს არც ერთ რეაქ-ციონურ ხანას რევოლიუცია საზოგადოდ ზრდის, აფხიზლებს მუშათა კლასს.ბოლშევიკურმა რევოლი-უციამ ის დააძინა გონება დაუხშო შეგნების მხრით მუშებს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ იმ შე-სანიშნავ ოქტომბრის აქეთ. არ დაბადებულა ახა-ლი თაობა, ისეთი, რომელსაც შეუძლია საპასუ-ხისმგებლო საქმის კეთება, არ დაბადებულა არც ერთი მუშაკი, კლასობრივი იარაღის მატარებე-ლი. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ისტორიას არ ახსოვს ამისთანა უნიჭო, უშინაარსო რევოლიუ-ცია“. (გვ. 48).

ჩვენ შეგვეძლო აქ წერტილი დაგვესვა და საკუთარ ხურჯინიდან შევსდგომოდით შოთების გადმოლაგებას. მაგრამ ეს ნაადრევი იქნებოდა იმ ატმოსფერის გასაშუქებლად, იმ ჯოჯოხეთურ პი-რობების გასათვალისწინებლად, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა გამოსვლა და დაცვა რუსული ბოლშევიზ-მის ქვენა გრძნობებით ატორტმანებულ ხელებისა-გან. მენშევიზმის ანტირევოლიუციონური ფილოსო-ფია მარტო „დევდარიანიზმით“ არ ამოწურულა. აღსანიშნავია კიდევ ერთი „შავი წიგნი“, რომელ-საც გვერდს ვერ აუხვევს რევოლიუციის მემატიანე, და რომელიც მოგვცემს მაშინდელ, 1920 წლის საერთო მოხაზულობის დასრულებულ სურათს.

გ. მუშიშვილი.

— ღმერთის ამბავი გაგვიგე, ეკლესიები რომ იქცევა მიზეზი რა არისო...

— გვირჩიე რამე როგორ გავთხოვდეთ ეკლესიის ჯვარის წერა „მოსპობილა“ და რომელი გულით ვენდოდ ქმარსო.

მოსთქვამდენ ერთ ჰასაკს გადასული ქალები...

— „რამე რუმესთვის“ მე ბევრ ადგილას ვიყავ, ქალების „პუბლიკამ“ ეჭვის თვალით დამიწყო ცქერა.

ევროპიელი.

## მეცნიერება და ტექნიკა

**უდიდესი საოკეანო გემი მსოფლიოში.** ასეთი უდიდესი გემი არის „მაჟესტიკი“. 1913 წელს სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი ეკავა „იმპერატორს“, 1914 წელს—„აკვიტანიას“. ორივე ამ გემს სიგრძე 900 ფუტზე ცოტა მეტი ქონდათ. იმავე წელს პირველობა გადავიდა გემ „ფატერლანდზე“, რომელსაც ახლა „ლევიაფანი ეწოდება და ამერიკელებს ეკუთვნის მას სიგრძე 940 ფ. აქვს. „ფატერლანდი“ და „ბისმარკი“ შენდებოდა ჰამბურგში; როდესაც ომი დაიწყო „ფატერლანდი“ ამერიკაში იმყოფება, ხოლო ბისმარკი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. ომის დამთავრების შემდეგ „ბისმარკი“ დიდ ბრიტანეთს გადაეცა და უწოდეს. „მაჟესტიკი“. ამ ჟამად „მაჟესტიკი“ უდიდეს გემს წარმოადგენს მსოფლიოში; მისი სიგრძე 956 ფუტს უდრის. „მაჟესტიკის“ ტონნაჟი—56.000 ტონაა. გემს აქვს 9 ბანი, ამათგან 7 მგზავრებისათვის არის დანიშნული. მგზავრების განგოფილება თავისი სიდიდითა და მორთულობით საკვირველებას წარმოადგენს. მთავარი რესტორანი იტევს 652 ადამიანს საჭიროების დროს მას აქვს კიდევ დარბაზი, რომელიც 200 ადამიანს დაიტევს. სასტუმროს, რომელსაც შუშისაგან გაკეთებული ჭერი აქვს და კედლები კი მუხისაგან, სიგრძე 76 ფ. აქვს, განი —54 ფ. ღირსშესანიშნავია „მაჟესტიკის“ პომპეის აბანოები, მათი არქიტექტურა და დეკორაცია ძველრომაულ სტილზეა გაკეთებული; კედლები მარმარილოსაგან არის და მდიდარია მოზაიკით. შუაში იმყოფება აუზი, რომლის ირგვლივ ოსმალური აბანოები და ელექტრული ვანებია. „მაჟესტიკი“ 4100 მგზავრს იტევს- მათთვის 1235 კაიუტა არის დანიშნული, რომელთაგან 472 პირველი კლასისაა. მეორე და მესამე კლასის მგზავრებს საკუთარი სადილო, სასტუმრო და თამბაქოს საწევი ოთახები აქვთ. გათბობა გემზე ორთქლითია, მაგრამ პირველი კლასის კაიუტები თბებიან აგრეთვე ელექტრონითაც; თითოეულ მგზავრს შეუძლია სითბოს თავისი სურვილის მიხედვით უყოს რეგულიაცია.

**ნემსების წარმოება.** შესახედავად ნემსების წარმოების პროცესი ძლიერ მარტივი უნდა იყოს, მაგრამ ის გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამის შესახებ ზოგიერთნი ფიქრობენ.

ფოლადის მავთულების მთელი შეკვრა ჯერ იჭრება ნაწილაკებათ ნემსის ორმაგ სიგრძეზე სპეციალური მანქანით, რომელიც დღეში ნახევარ მილიონს ცალს ამზადებს. ეს ნაჭრები ჯერ სწორდება შემდეგ სპეციალურ ღუმელებში ალღობენ და შემდეგ ასწორებენ; აქედან იწყებენ წვერის გაკეთებას მანქანაზე, რომელიც ორივე მხრით წაწვეტილ ნემსებს ისვრის. გამჩარხავ მანქანაში ის შუაზე იჭრება ამის შემდეგ ნემსი გადადას გასაბრტყელებელ მანქანაში და აქედან ყურის გასაკეთებელ მანქანაში. მიღებულ ნემსებს ულესავენ წვერს და ასწორებენ, დამზადებული ნემსები რომ არ ტყდებოდეს, მას ატარებენ ლითონის ბარაბანში, რომელიც კვამლზე ბრუნავს. გახვრეტილ ყურს სწვავენ, რათა მას სირბილე მიეცეს. ამით საქმე არ თავდება; დამზადებული ნემსი ჯერ კიდევ მრავალ ხელს გაივლის. ერთი მომუშავე ნემსებს ითვლის; მეორე ამაგრებს მესამის მიერ დამზადებულ ქაღალდებზე, მეოთხე კეცავს პაკეტებს, მეხუთე ზედ იარლიკებს აწებებს და ასე შემდეგ, სანამ კოლოფებში გამზადებული ნემსები საწყობში არ გადაიცემა. იშვიათი სანახავია ისეთი წარმოება, რომელშიც აქამდე იყოს მისული მუშაობის სპეციალიზაცია; ნემსი ფაბრიკაში 80 სხვა და სხვა ხელს გადის.

## პროვინციაში

**ელექტრონის სადგური.** საბჭოთა ხელისუფლება იმისათვის არის კარგი რომ რაც გასაკეთებელია კეთდება ულაპარაკოთ, ულაყბოთ. მენშევიკების დროს რაიმე გაეკეთებიათ სამი წელიწადი უნდა ელაპარაკათ რისთვისაც არას დროს არაფერი კეთდებოდა ეხლა კი სხვა მდგომარეობაა მაგალითად სამტრედიაში ელექტრონის სადგური არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას ამას ამჩნევდა ყველა ამჩნევდა ხელისუფლება ამისათვის ამაზე ლაპარაკიც არ დაუწყიათ სასწრაფოთ შეუდგნენ საქმეს და მთელი სამტრედია რვა ვერსის რადიუსის მანძილი დაფარეს ელექტრონის ლამპებით რაც ამ ორ სამ დღეში ამუშავდება და გამოიყვანს სამტრედიის საზოგადოებას ბნელეთიდან.

ოლღაბშვილი.

— —

### სოფ. საგვაზავო

(სენაკის მაზრა)

სოფ. საგვაზავო—საბოკუჩავოს მცხოვრებნი შესდგება 300 ზე მეტი კომლისაგან.

მცხოვრებნი მისდევენ მიწის დამუშავებას. დასამუშავებელი მიწა ადგილი თითქმის ყველას—აქვს მდინარე აბაშის გაღმა.., მდინარეზე გადებულია ხიდი, რომელზედაც მთელი მშრომელი ხალხი გადად-გადმოდის. თითქმის ყველამ, სენაკიდან, ზუგდიდიდან წამომსვლელებმა ამ ხიდზე უნდა გაიაროს აუცილებლად.

დღეს ეს ხიდი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, თითქმის ზევითა ნაწილი ერთიანად დამპალია.

მთელი მუშა ხალხი ხიდის უვარგისობით უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მთელი წლის სარჩო საბადებელი მუშამ ამ ხიდზე უნდა გაზიდოს. თვით მე პირადად რამოდენიმეჯერ ვიყავი მოწამე არასასურველ შემთხვევების: ხან საქონელს ფეხები ჩაუცვინდა ჩამპალ ფიცრებში და კინაღამ ხელიდან გამოეცალა მუშას ერთად ერთი მარჩენალი და სხვ.

ახლა დაწყებულია რთველი, მოსავალსაც საერთოდ კარგი პირი უჩანს, მხოლოდ ვფიქრობთ, ვაი თუ ამ ხიდზე უბედურება რამ მოხდეს... ლამის ვაი ვაგლახით გადად-გადმოდიან ამ ხიდზე და მოკლე ხანში სულ შეუძლებელი იქნება ამ ხიდით სარგებლობა.

საჭიროა ამ ხიდს ვისგანაც ჯერ არს მიექცეს ყურადღება, სანამ უბედურება არ მოხდებოდეს.

პლ. ჯვარიშელი.

— —

### სამტრედია.

მესამე დღეა კოკის პირულად წვიმს მოსალოდნელია მდინარეების გადიდება რასაც შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს გლეხ კაცობას, ვინაიდან ჯერ-ჯერობით საყანეებიდან არც ერთი ტარო სიმინდი არ დანძრეულა:

პარკის სახმობი და ამოსაღები ქარხანა 1918 წლიდან არ მუშაობდა, მხოლოდ ამ წელში ცეკავშირის რწმუნებულის გერმანე ნაფეტვარიძის დიდი ენერგიის დახარჯვით და მეცადინეობით იქნა ამუშავებული სადაც ორასამდე მუშა ქალი და კაცი უკვე მუშაობს ეს ფაქტი დიდი ღირსშესანიშნავია და დაუფასებელია მით უმეტეს მგზავს პროვინციელ ქალაქისათვის, როგორიც არის სამტრედია. აი სწორედ ამისათვის არის რომ ამხ. გერმანე ნაფეტვარიძე სარგებლობს დიდი სიმპატიით და ყურადღებით მუშათა წრეებში.

ტეხნიკუმს თავისი საკუთარი შენობა სამტრედიაში არასოდეს არ ჰქონებია, ხან ერთ დაწესებულების შენობაში თავსდებოდა და ხან მეორეში, რაც დიდად აფერხებდა სწავლის საქმეს. ამ წელში ქალაქის საბჭომ და ალმასკომმა სცნეს აუცილებელ საჭიროდ ტეხნიკუმისათვის საკუთარ შენობის შეძენა, იქნა გამოტანილი სათანადო დადგენილება კომისია ამორჩეული და ალაგიც მითითებული, კომისიამ თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა გეგმაც იყო შედგენილი 80 ოთახიდან. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ასეთი დიდი შენობის აშენებას რამოდენიმე ხარჯიც, რაც დღევანდელ პირობებში აუტანელ ტვირთად დააწვებოდა საზოგადოებას, ამისათვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გონივრულად შეცვალა ეს დადგენილება და შეუდგა, მეორე შრომის სკოლის შენობასთან ათ თვალიან შენობის აშენებას, რომლის მუშაობა ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ თითქმის ორ კვირაში დამთავრდება და ასე ამ გვარად ტეხნიკუმის მოწაფეებს არ დასჭირდებათ საღამოებით მეცადინეობა, როგორიც იყო გასულ წელს.

— —

### კიდევ კარგი საკურორტო

(წერილი სვანეთიდან).

ამხ. ფ. მახარაძე აღფრთოვანებულია წყალტუპოს მიერ დატოვებული შთაბეჭდილებით და ეხება რა მის მნიშვნელობას, როგორც მომავალი დიდ სახალხო კურორტისა თავის წერილში საკმაო გულის წყრომით ამბობს: „საყვედურის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვინც იცოდა წყალტუპოს თვისება და ღირსება და ხმა მაღლა არ იძახოდენ ამაზე, არ ყვიროდენ საქვეყნოთ წყალტუპოს გაკეთების თაობაზე“—ო.

ეს ნათქვამი გველაპარაკება ჩვენ არა მარტო წყალტუპოს შესახებ.

ჩვენში სხვა ადგილებიც ბევრია შესანიშნავი. ერთ ასეთ მშვენიერ ადგილათ, რომელიც სათანადოთ შეასრულებს თავის როლს და გამართლებას მისცემს სიტყვა კურორტის მნიშვნელობას—შინაარსს, იქნება ქვემო სვანეთში—ლაშხეთის თემში სახელწოდებით **მუაში**.

**მუაში** ძლიერ მაღალი ადგილია (თუ რამდენი ექნება სიმაღლე არ ვიცი) ის ძევს ლაშხეთის სოფლების თავზე და მისი ჰავა ძლიერ განსხვავდება სოფლისაგან: ის ირგვლივ გორაკებითაა შემოზღუდული, რომელთა იქით მოსჩანს კავკასიონის ქედი თავისი მუდმივი თოვლით. მის მოსაზღვრეთ არიან სხვა და სხვა მთა-გორაკები, რომელთა სილამაზე აუწერელია. თვითონ მუაში წარმოადგენს ვაკე ადგილს გაშლილს მინდორს, რომელსაც ირგვლივ არტყია ფიჭვნარი და ნაძვნარი. ფიჭვები თვალ-უწვდენელნი არიან, ზოგიც კიდეც მოხუცებულა, მობეზრებია სიცოცხლე და წაქცეულა. სამაგიეროთ ადგილი ეთმობათ ახალგაზრდებს და მათი საჭიროება გარდა ჰავისათვის სხვა მხრივაც დიდია მკვიდრ მცხოვრებთათვის. შუა ადგილას ამ ვაკისა გამოდის „მჟავე წყალი“—რომელსაც სვანურათ სგიმ ეწოდება. წყალი ძლიერ ბევრი ამოდის. ასე რომ იქ ამ მხრივ შევიწროება არ არსებობს მოაგარაკეთათვის. ამოსვლისას ისვრის ნაშინშხლებს, რომელიც საგრძნობ მანძილით შორდება დასაბამ ადგილს. მისი დალევა მაგ. ერთი ჭიქის მოუხერხებელია შეუსვენებლათ ისეთი „გაზიანია“—ხშირათ ყოფილა შემთხვევა, რომ გაუხეთქია ბორჯომის ბოთლი. ასე რომ მისი შედარება ხელოვნურათ „გაკეთილშობილებულ“ ბორჯომის წყალთან არ შეიძლება. არას დროს არ ბერავს მსმელს მიუხედავათ იმისა, რომ მიჩვევის შემდეგ ადამიანი ძლიერ ბევრს სვამს. ეს წყალი მოსახდენია კუჭის ტკივილისათვის, რომელიც გადაქცეულა ქრონიკულათ, უკანასკნელისათვის საკმარისია ერთი თვე, რომ სრულ სალათ იგრძნოს თავი სისუსტისათვის, რადგან ბადებს გადაჭარბებულ ჭამის ვადას.

ერთი სიტყვით მთელ ორგანიზმს კურნავს, რომლის დეტალები ჩემთვის, როგორც არა სპეციალისტისათვის უცნობია. ნახევარი ვერსის დაშორებით ამ წყლისა მდებარეობს უამრავლათ გამომდინარე „რკინის წყალი“ სანამდი გზა სულ ფიჭვებთა შორის არის. ფერით თეთრია მხოლოთ მის ირგვლივ თითქმის ერთ ქცევაზე მიწას მიუღია წითელი ფერი და თავის მიმდინარეობის კვალზე კი დაუტოვებია რკინის ფენები ისიც წითელი ფერის. ამის მიხედვით სვანებს მისთვის წარნაში დაურქმევიათ. წარნა—წითელს ქვია. ძლიერ მოსახდენია სისხლის-ნაკლულოვანებისათვის მისი სმას ცოტა დოზით რასაკვირველია და უებარი საშუალება თავის ტკივილისათვის და ყოველგვარ კანის ავადმყოფობისათვის მასში ბანაობა—მიუხედავათ იმისა, რომ ის ისეთი ცივია, რომ ადამიანი ვერ გაუძლებს ერთს წუთსაც—ცხადია მიჩვევამდე.

ასეთია მოკლეთ მდებარეობა ამ ადგილის რომელსაც ძლიერ ცოტა იცნობს. [illegible] საჭირო ჯანმრთელობის განყოფილებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ მხარეს და შეძლებისა მოგვარება ღლიურ წესრიგში დაისვას. ჯერ ის არ არის დამტკიცებული, როგორც კურორტი მიუხედავათ ბევრ ექიმთა, რომელნიც ავადმყოფებს იქ) წასვლას ურჩევენ. (ამის მაგალითები ბევრი არისმოაგარაკეები წელს საკმაოთ იყვნენ. გარდა მახლობელ მცხოვრებლებისა მოვიდნენ სამეგრელოდან, რაჭიდან, და იმერეთის სხვა და სხვა კუთხიდან. იყვნენ წყალტუპოდანაც, რომელთა გაკვირვება უსაზღვრო იყო ყოველივეს ნახვის შემდეგ.

მართლაც საკვირველებას წარმოადგენდა ავადმყოფების გამოცვლა სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში. მთელი ნაკლოვანება გამოიხატება ტეხნიკურ მხარეების მოუწყობლობაში, რადგან უკანასკნელის მოგვარებისათვის არავის არ უფიქრია. ლეჩხუმის მაზრის აღმასკომმა ის გასცა იჯარით ისეთ პიროვნებებზე, რომელთაც არა საქმის რაციონალი მომვლელობით აინტერესებდათ, არამედ მათი ჯიბის ბედ-იღბალი,

არ იყო ფიცრული ოთახები გარდა უმნიშვნელო რიცხვისა და ისიც დათმობილი ქონდა არ მუშა ხალხს, ცხადია მათი შეუძლებლობის გამო ამიტომ იყო წკნელის მიერ მომწნილი კარვებ ძლიერ თხლათ ყავრით გადახურული. გასაგებია, იყვნენ მოაგარაკენი დაზღვეულნი ქარისა და სიცივისაგან, რის გამოც უარყოფითი მოვლინებას ქონდა ადგილი. არ იყო გარკვეულათ ფასების რაოდენობა გაწესებული სანოვაგეზე და მოიჯარადრენი, რისხვით სამი კაცი, თავის სურვილის მიხედვით უმატებდენ ფასებს და რადგან მისთვის გამართლება უნდოდათ ეპოვათ—ამტკიცებდნენ ოქროს კურსმა აიწიაო, ჩერვონეცი გაძვირდაო და სხვ. საკმარისი იყო ცოტაოდენი საწინააღმდეგო გეთქვა რამე, რომ შექმნილიყო შენ ირგვლივ ფიცხელი ბრძოლა რის შედეგათ ბლოკადა გქონდა გამოცხადებული, ასე რომ შევეჩვიეთ სიჩუმეს. არ იყო სისუფთავე წყალზე დაცული. იყო რიგში დგომა დილიდან საღამომდე რადგან ვანების რიცხვი ერთს არ აღემატებოდა. ერთი სიტყვით უყურადღებოთ არის დატოვებული ეს ადგილი.

მოაგარაკეთაგანი.

## თეატრი

### თქმულება შოთა რუსთაველზე—დ. არაყიშვილისა.

ზამთრის სეზონი გაიხსნა დიმიტრი არაყიშვილის ოპერით—„თქმულება შოთა რუსთაველზე“.

კარგა ხანია არ დადგმულა ტფილისში ეს ოპერა, რაც ფრიად სამწუხაროა, რადგანაც ასეთი მშვენიერი ნაწარმოების უკან მიგდება დიდი ცოდვაა. ოპერის შინაარსად აღებულია პირადი სულიერი დრამა საქართველოს დიდებულ პოეტის შოთა რუსთაველისა, რომელმაც ასე ასახელა მშობლიური პოეზია თავის სამშობლოს გარეშეც. ამ ჟამად, როგორც ვიცით, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის ტყაოსანი“ გადათარგმნილია რუსულს, გერმანულს, ინგლისურს და ფრანგულს ენებზედ.

დიმიტრი არაყიშვილმა ჩვეულებრივის ნიჭით მთელი პოემა აღავსო მშვენიერ წარმტაც მელოდიებით. ოპერის ყველა პარტიები ეპიზოდიურია, მაგრამ ამავე დროს ყოველი მათგანი ცალკე სრულიად დამთავრებულ, მთლიან ერთეულს წარმოადგენს, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით. უმთავრესი როლი, რასაკვირველია, თვით შოთა რუსთავლის როლია. ამ პარტიას ასრულებდა ნიჭიერი მსახიობი სარაჯიშვილი. მსახიობის ხმას ზაფხულის განმავლობაში კარგად დაუსვენია—იგი მშვენივრად ბგერს. მხატვრული ნაწილის შესრულება სარაჯიშვილის მიერ, როგორც ვოკალურის, ისე დრამატიულის მხრით, უნდა დასრულებულად ჩაითვალოს. მე, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვნახე ვერც ერთი უარყოფითი ადგილი, ვერც სიმღერაში და ვერც თამაშში. მსახიობი, რასაკვირველია უფრო მომღერალია, ვიდრე ვოკალისტი, მაგრამ რეალისტური მიმართულების ოპერები, ახალი სკოლის ოპერები—მელოდიასთან ერთად თხოულობენ აგრეთვე დამთავრებულ სიმღერასაც; ამ მხრით კი (ფრაზიროვკა, მუსიკალობა) ჩვენს სცენაზედ სარაჯიშვილს არ ყავს მოქიშპე.

მეტად კარგად ასრულებს მსახიობი ქალი ბოკოვი მიტოვებულ, მაგრამ მაინც შოთა რუსთველის სიყვარულით გატაცებულ ახალგაზრდა ქალის ნინოს როლს. მთელი ოპერის სიგრძეზედ მსახიობმა მოგვცა პოეტური განსახიერება ტანჯული ქალისა.

მსახიობი კავსაძე მუსიკალურად მღეროდა თავის ერთად-ერთ არიას—ურმულს, თუმცა სასურველი იყო უფრო მეტი გრძნობა.

როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით მეტად კარგად შესრულა მგოსნის როლი ახალგაზრდა მომღერალმა ლორთქიფანიძემ. მე მომეწონა, როგორც თამაში, ისე მთელი განსახიერება ბებერი—მეფანდურისა.

ვოკალური მხარის უმწვერვალესი ნაწილი არის შოთა რუსთაველის ცოლისა და ზანგის დუეტი. ამ პარტიებს ასრულებდნენ მსახიობნი ევქსანიშვილი და პოლიაევი. დუეტი მათ შეასრულეს მწყობრად და მუსიკალურად.

ოპერის საუკეთესო ნაწილია პროლოგი (ურმული, ნინოს არია და ნინოსა და შოთას დუეტი). კარგია მეორე მოქმედებაც (ოპერა შესდგება პროლოგისა და ორი მოქმედებისაგან).

ცოტა ერთფეროვანია ცეკვის მელოდია და ეს მით უმეტეს მოსალოდნელი არ იყო არაყიშვილისაგან, რომელიც თემების მხრივ მეტად მრავალფეროვანია. მისი თემები ერთი მეორეზედ უკეთესია.

თამარ მეფის პარტიას მღეროდა მსახიობი ქალი რუდენკო და კარგადაც შეასრულა იგი.

ოპერა დასდგა რეჟისორმა მარჯანიშვილმა და მომეწონა მხოლოდ პროლოგის დადგმა. აქ ბევრია სიცოცხლე და სინამდვილე—დაწყებული მთის პეიზაჟიდან და გათავებული პირველი კულისის უკან გატარებული ურმით. (საჭიროა მხოლოდ აიწიოს ლობე, ვინაიდან უხერხულია, რომ ურმის მოძრაობის დროს არა სჩანს ხარ-კამეჩი) დამახასიათებელია მეტად ეზოში ლობის ძირას წამოქცეული ქვევრი.

მე არა მგონია სწორე იყოს პოეტ-იდეალისტ შოთა რუსთაველის სახლის ციხე სიმაგრედ წარმოდგენა საფარებითა და სათოფურებით. არ ვიცი რა უნდოდა ეთქვა ამ დეკორაციით მარჯანიშვილს.

მშვენივრად ჩაატარა საორკესტრო ნაწილი დირიჟორმა ფალიაშვილმა.

დამსწრე საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა კომპოზიტორ არაყიშვილს და გაუმართა მას დიდი ოვაცია.

პ. ბებუთიშვილი.

— —

**ილიკო აბაშიძე.** ტფილისის მე-2-რე სახელმწიფო კონსერვატორიის ინსპექტორი ი. აბაშიძე გადაყვანილ იქმნა ქ. ქუთაისის მუსიკალურ-ტეხნიკუმის დირექტორის თანამდებობაზედ და ამ დღეებში მიემგზავრება ქუთაისს.

### შეცდომის გასწორება

„ტრიბუნის“ № 591 ამხ. ფაჩუაშვილის წერილში არის შეპარული შემდეგი შეცდომები: გ. 3, სვეტი 4 დაბეჭდილია: თავის ქალისათვის **ბინა**, უნდა იყოს—„**ბონა**“.

ასეთივე შეცდომაა მე-4 გვ. პირველ სვეტში „**ბინისათვის ხომ იყო ფული**“ უნდა იყოს „**ბონისათვის**“...

აგრეთვე ბრალდებათა მე-8 პუნქტში უნდა იყოს! ბონა გყავდათ... და სხ.

მე-4 გვ. მე-2 სვ. მე-10 სტრიქ. დასტამბულია; დაანებეთ თავი **ფაქტიურ** დადგენილებათა წერას, უნდა იყოს—**ფიქტიურ** დადგენილებათა წერ.ას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 709 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქ. № 4.